



სექსუალური განათლება საქართველოში

სამაგიდო მიმოხილვა

საქართველოს განათლების სისტემაში რამდენიმე წელია, ეტაპობრივად ინერგება ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სწავლება, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ნაწილს. ამ პროცესს თან სდევს საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან უარყოფითი რეაქცია. არასამთავრობო ორგანიზაციის „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“ ერთერთი მიზანია ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების დანერგვის ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით გადაწყდა, მომზადებულიყო ეს სამაგიდო მიმოხილვა, რომელიც აღწერს და განიხილავს ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას.

ჩვენს ქვეყანაში სექსუალური განათლება მოსახლეობას სხვადასხვაგვარად ესმით. აღსანიშნავია, რომ ის გარკვეული ნაწილის მიერ განიხილება ვიწრო კონტექსტში და დაკავშირებულია მხოლოდ სქესობრივი კონტაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან. ამავდროულად, საქართველოს სკოლებში, ბიოლოგიის სწავლების პროცესში, სექსუალური განათლება შემოიფარგლება მხოლოდ ანატომიის სწავლებით და რეპროდუქციული სისტემის აღწერით.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალურ განათლებასთან, მოხსენიებულია, როგორც "ჯანსაღი ცხოვრების წესი".

მოცემულ დოკუმენტში გამოყენებული სახელწოდებები, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სწავლება, ყოვლისმომცველი ან კომპლექსური სექსუალური განათლება, განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ და სექსუალური განათლება თანაბარი, ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელია.

ძირითადი ტერმინები/შემოკლებები	6
რა არის სექსუალური განათლება	8
სექსუალური განათლების დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა	10
სექსუალური განათლება და საერთაშორისო საგანმანათლებლო დოკუმენტები	12
საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებით	14
სექსუალური განათლების საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში	24
სრტუ თემაზე ჩატარებული კვლევები საქართველოში	28
შეჯამება	31

გენდერი - აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომლებიც მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით მიენერებათ (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3256>).

გენდერული თანასწორობა - ქალების და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა. გენდერული თანასწორობა არ გულისხმობს იმას, რომ მამაკაცები და ქალები ერთნაირები არიან, არამედ იმას, რომ მათ აქვთ თანაბარი ღირებულება და მათ მიმართ უნდა არსებობდეს თანაბარი მოპყრობა (სექსუალური განათლების საერთაშორისო სახელმძღვანელო, UNESCO, 2009).

ესგ - ეროვნული სასწავლო გეგმა.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა - სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა ყველა იმ საკითხში, რომელიც უკავშირდება რეპროდუქციულ სისტემას. რეპროდუქციული ჯანმრთელობა შეეხება რეპროდუქციულ პროცესებს, ფუნქციებსა და სისტემებს, ცხოვრების ყველა ეტაპზე, და გულისხმობს ადამიანების მიერ დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო სექსუალური ცხოვრების, რეპროდუქციების შესაძლებლობის და რეპროდუქციებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლების ქონას (International technical guidance on sexuality education, UNESCO, 2018).

საგნობრივი სტანდარტი - მოსწავლის მიერ მისაღწევი შედეგი კონკრეტულ დისციპლინაში, კონკრეტული პერიოდის დასრულების შემდეგ.

სექსუალური ჯანმრთელობა - სექსუალობასთან დაკავშირებული ფიზიკური, ემოციური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა; სექსუალური ჯანმრთელობა მოითხოვს პოზიტიურ და პასუხისმგებლობით განმსჭვალულ მიდგომას სექსუალობისა და სექსუალური ურთიერთობების მიმართ, ისევე, როგორც სასიამოვნო და უსაფრთხო სექსუალური გამოცდილების ქონის შესაძლებლობას, რომელიც თავისუფალია დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან. (International technical guidance on sexuality education, UNESCO, 2018).

სექსუალური განათლება - სექსუალობის კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური ასპექტების შესახებ სწავლებაზე დაფუძნებული პროცესი. მისი მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების უზრუნველყოფა ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, რომლებიც მათ გააძლიერებს, რათა მოახდინონ თავიანთი ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ღირსების რეალიზება; განავითარონ პატივისცემაზე დაფუძნებული სოციალური და სექსუალური ურთიერთობები, გაიზარონ და უზრუნველყონ თავიანთი უფლებების დაცვა მთელი ცხოვრების მანძილზე (International technical guidance on sexuality education, UNESCO, 2018).

სექსუალობა - ადამიანის განვითარების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცხოვრების ყველა ეტაპს მოიცავს და შედგება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური კომპონენტებისგან (WHO Regional Office for Europe and Bzga, Standards for Sexuality Education in Europe, 2010).

სექსუალური უფლებები მოიცავს ეროვნული კანონმდებლობით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით და სხვა კონსენსუსის განცხადებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებს. კერძოდ, სექსუალური უფლებები მოიცავს იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალ შემდეგ საყოველთაო უფლებებს:

- უფლება სექსუალური ჯანმრთელობის ყველაზე მაღალ შესაძლო სტანდარტზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის ჩათვლით;
- სექსუალობის შესახებ ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გაცემის უფლება;
- სექსუალური განათლების უფლება;
- სხეულის ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლება;
- პარტნიორის არჩევის უფლება;
- სექსუალური აქტიურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება;
- ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობების უფლება;
- ნებაყოფლობითი ქორწინების უფლება;
- შვილოსნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება; და
- დამაკმაყოფილებელი, უსაფრთხო და სასიამოვნო სექსუალური ცხოვრების ქონის უფლება.

(International technical guidance on sexuality education, UNESCO, 2018).

სექსუალური მოქალაქეობა - ეს არის, სექსუალურ და ინტიმურ ცხოვრებაში მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები, მათ შორის დებატები თანაბარ ქორწინებასა და ქალთა უფლებებზე, აგრეთვე მოქალაქეობის შესახებ ზოგადი შეხედულებების ფორმირება. <https://www.wiley.com/en-us/Sexuality+and+Citizenship-p-9781509514205>

სრტუ - სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები.

ჯანსაღი ცხოვრების წესი - ცხოვრების ისეთი სტილი, რომელიც ამცირებს მძიმე დაავადებების ან ნაადრევ სიკვდილის რისკებს. ჯანმრთელობა მხოლოდ დაავადების თავიდან აცილებას არ გულისხმობს. იგი, ასევე, გულისხმობს ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობას (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, <https://apps.who.int/iris/handle/10665/108180>).

რა არის სექსუალური განათლება

ყოველმომცველი სექსუალური განათლება მიმართულია ბავშვების და მოზარდების მხარდასაჭერად სქესობრივი განვითარების პროცესში. განვითარების ეს ეტაპი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოზარდებისთვის. სექსუალური განათლება არის სექსუალობის კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური ასპექტების შესახებ სწავლება, რომლის მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების იმ ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით უზრუნველყოფა, რომლითაც ისინი შეძლებენ, მშვიდად გაუმკლავდნენ ინტერნეტით თუ სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სწორად გადაამუშაონ ცრუ და ურთიერთგამომრიცხავი გზავნილები სქესობრივ ურთიერთობებთან და გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით.

სექსუალური განათლების ზუსტ განმარტებას გვთავაზობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO):

- WHO: სექსუალური განათლება არის განათლება სექსუალობის კოგნიტურ, ემოციურ, სოციალურ, ინტერაქტიულ და ფიზიკურ ასპექტებზე (WHO Regional Office for Europe and Bzga, Standards for Sexuality Education in Europe, 2010);

- UNESCO: სექსუალური განათლება ნიშნავს სექსუალობის კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური ასპექტების შესახებ სწავლებაზე დაფუძნებულ პროცესს. მისი მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების უზრუნველყოფა ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, რომელიც მათ გააძლიერებს, რათა მოახდინონ თავიანთი ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ღირსების რეალიზება; განავითარონ პატივისცემაზე დაფუძნებული სოციალური და სექსუალური ურთიერთობები, გაიზარონ და უზრუნველყონ თავიანთი უფლებების დაცვა მთელი ცხოვრების მანძილზე (International technical guidance on sexuality education, UNESCO, 2018).

სექსუალურ განათლებას აქვს ორი ძირითადი მიზანი:

- შეამციროს არასასურველი ორსულობების რიცხვი, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელება და სექსუალური ძალადობა ბავშვებზე;
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ადამიანების კეთილდღეობას ცხოვრების ხარისხისა და ადამიანური ურთიერთობების გაუმჯობესების გზით.

2002 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე აღიარებულ იქნა მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული სტრატეგიების და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა, შესაბამისი მიზნების და ინდიკატორების განსაზღვრის ჩათვლით. ასეთი ძალისხმევა აუცილებლად უნდა განხორციელდეს მსოფლიოს ყველა რეგიონში, ვინაიდან მოზარდების უმრავლესობისთვის დღესაც მიუწვდომელია ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, ასევე, პრევენციული და სამკურნალო სერვისების შესახებ ამ სფეროში. მოზარდებისთვის ამგვარი ინფორმაციის, განათლების და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომავალი საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვან ამოცანად უნდა იქცეს.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებების და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხები დიდი ხანია, მყარად დამკვიდრდა ბევრი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში, სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით.

ცნობილია, რომ სწორი ინფორმაციისა და სათანადო განათლების საშუალებით შესაძლებელია ჯანსაღი ფიზიკური და ემოციური ცხოვრება, სქესობრივი და რეპროდუქციული სისტემების დაავადებების დიდი ნაწილის პრევენცია. ბავშვის აღზრდისა და განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გამომუშავებაა, სადაც ჯანსაღ ცხოვრებას უდიდესი ადგილი უკავია, როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების კეთილდღეობის თვალსაზრისით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დოკუმენტში, რომელიც მიმოიხილავს ევროპის რეგიონში შემაჯავალი 25 ქვეყნის სექსუალურ განათლებას (2018 წელი), საქართველოზე წერია:



„სექსუალური განათლება დღესდღეობით პრაქტიკულად არ არსებობს საქართველოს სკოლებში. მთავრობა ჯერ კიდევ იმყოფება ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლების დანერგვის პროცესში, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს სექსუალური განათლების თემებს. ამ თემის აქტიური მხარდამჭერია გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომა". მაგრამ ჯერ კიდევ ნაადრევია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა მოცულობით დაინერგება სექსუალური განათლება სკოლებში. მას ძლიერი მონინააღმდეგეები ჰყავს, განსაკუთრებით დიდი გავლენის მქონე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.¹“



სექსუალური განათლების დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიოში მრავლად მოიძებნება ქვეყნები, სადაც როგორც ეროვნულ, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმებში, ქვეყნის კულტურალური ფაქტორების და ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, ასახულია ჯანსაღი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხები.

სხვადასხვა ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების სწავლების ორგანიზება განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში ეს საკითხები ისწავლება ცალკე საგანად, ზოგიერთში - ინტეგრირებულია ბიოლოგიის საგანში, ასევე არის ქვეყნები, სადაც აღნიშნული საკითხები რამდენიმე საგანშია გაშლილი, როგორებიცაა, ძირითადად, ბუნებისმეტყველება/ბიოლოგია, სამოქალაქო განათლება და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნები.

1. „Sexuality education is presently virtually absent from schools in Georgia. Still the government is in the process of introducing Helathy lifestyle education, which is provisionally planned to include some esxuality-education topics. Active support for this development is provided by the UNFPA Georgia and NGO “Tanadgoma” . But it is still too early to predict to what extend sexuality education will indeed be included. There is strong opposition to it, especially from influential georgian Orthodox Church.“

Sexuality Education in the WHO European Region. Fact sheets of the status of sexuality education in 25 countries. 2018. https://www.ippfen.org/sites/ippfen/files/2018-05/Comprehensive%20Country%20Report%20on%20CSE%20in%20Europe%20and%20Central%20Asia_0.pdf

ჯანსაღი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების სწავლების ორგანიზების მიმართ არსებობს განსხვავებული მიდგომები, თუმცა სპეციალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ ამ საკითხების სწავლა და სწავლება მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგნების საშუალებით, ჰოლისტური მიდგომით. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეს, სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახოს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა მის სოციალურ, ემოციურ თუ ფიზიკურ განვითარებაში და ჩამოუყალიბდეს ის უნარები და ღირებულებები, რაც უზრუნველყოფს მის ჯანსაღ ცხოვრებას.

ჯანსაღი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასაკისთვის შესაბამისი საკითხების შესახებ ინფორმაციის ძირითადი მომწოდებლები არიან: სკოლა, ოჯახი, მეგობრები, მედია/სოციალური მედია, მედიცინის მუშაკები. იმ შემთხვევაში, თუკი ამ საკითხების მიწოდება არ არის ორგანიზებული შესაბამისი ინსტიტუციების მიერ, ბავშვი და მოზარდი ინფორმაციას ან თანატოლებისგან, ან სხვადასხვა, მათ შორის არასანდო მედიის საშუალებით იღებს.

ბევრ ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები უმეტესად წარმოდგენილია საკანონმდებლო დონეზე, როგორც განათლების ერთერთი მიზანი (მაგ: ნიდერლანდების სამეფო, ესტონეთი, ლატვია და სხვ.), ხოლო დეტალურად დამუშავებულია ეროვნულ და/ან რეგიონულ/სასკოლო სასწავლო გეგმებში. ამაზე დაყრდნობით, ეს საკითხები ასახულია მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საუნივერსიტეტო და მიმდინარე პროგრამებში და მშობელთა საგანმანათლებლო პროგრამებში.

შვედეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც სექსუალური განათლება სასკოლო განათლების სავალდებულო ნაწილი გახდა. საგანს ერქვა 'სექსუალობა და პიროვნული ურთიერთობები'. თავდაპირველად ახალი საგანი არ იყო პოპულარული, პედაგოგების სახელმძღვანელო კი პერიოდულად გადიოდა რევიზიას შვედეთის პარლამენტში. იმ პერიოდში თვლიდნენ, რომ სექსუალობის საკითხებზე ადრეულ ეტაპზე მიწოდებული ინფორმაცია მოზარდებს სექსუალურად ნაადრევად გაააქტიურებდა. შვედეთმა ეს საკითხი სიღრმისეულად გამოიკვლია და დაადგინა, რომ სექსუალობის საკითხებზე მოზარდების ინფორმირება ძალიან მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის, ასევე, ის არის აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპი მათი მომავალი ცხოვრებისთვის. შვედეთის ყველა სკოლაში 1955 წლიდან სექსუალური განათლების საკითხების შესახებ სწავლება სავალდებულოა.

ამ ეტაპზე შვედეთში სექსუალური განათლების საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანში: ბიოლოგია, რელიგია, ისტორია, ეთიკა, სოციოლოგია, ლიტერატურა. სწავლება იწყება 7 წლიდან და გრძელდება სკოლის დამთავრებამდე.

სექსუალური განათლება და საერთაშორისო საბანბანათლებლო დოკუმენტები

საერთაშორისო დოკუმენტებიდან ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების (CSE) თემებს აღწერს:

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) დოკუმენტი „სექსუალური განათლების სტანდარტები ევროპაში“ (WHO & BZGA, 2010);²
- ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის (IPPF) „ჩარჩო-დოკუმენტი კომპლექსური სექსუალური განათლებისთვის“³ (IPPF, 2010 & 2017),
- იუნესკოს (UNESCO) „საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო სექსუალური განათლების შესახებ“ (UNESCO, 2018)⁴.

2. WHO Regional Office for Europe and Bzga. „Standards for Sexuality Education in Europe“

3. IPPF Framework for Comprehensive Sexuality Education (CSE)

4. UNESCO International technical guidance on sexuality education

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი მიმოიხილავს იმას, თუ როგორ არის მოწოდებული სექსუალური განათლების სტრუქტურა ასაკობრივი ჯგუფების სასწავლო მიზნების და თემების მიხედვით:

	სექსუალური განათლების სტანდარტები ევროპაში (WHO)	ჩარჩო-დოკუმენტი კომპლექსური სექსუალური განათლებისთვის (IPPF)	საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო სექსუალური განათლების შესახებ (UNESCO)
ასაკობრივი ჯგუფები:	6 ჯგუფი: 0-4 წლის, 4-6 წლის, 6-9 წლის, 9-12 წლის, 12-15 წლის, 15+ წლის	3 ჯგუფი: 10 წლამდე, 10-18 წლის, 18-24+ წლის	4 ჯგუფი: 5-8 წლის, 9-12 წლის, 12-15 წლის, 15- 18+ წლის
სასწავლო მიზნების კატეგორიები	ცოდნა, დამოკიდებულებები და უნარები	ცოდნა, დამოკიდებულებები, უნარები და ჩართულობა	ცოდნა, დამოკიდებულებები და უნარები
ძირითადი თემატური კატეგორიები	1. ადამიანის სხეული და განვითარება; 2. ნაყოფიერება და რეპროდუქცია; 3. სექსუალობა; 4. ემოციები; 5. ურთიერთობები და ცხოვრების სტილი; 6. სექსუალობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 7. სექსუალობა და უფლებები; 8. სექსუალობის სოციალური და კულტურული განმსაზღვრელები	1. გენდერი; 2. სექსუალობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და აივ-ი; 3. სექსუალური უფლებები და სექსუალური მოქალაქეობა; 4. სიამოვნება; 5. ძალადობა; 6. მრავალფეროვნება; 7. ურთიერთობები	1. ურთიერთობები; 2. ღირებულებები, უფლებები, კულტურა და სექსუალობა; 3. გენდერი; 4. ძალადობა და უსაფრთხოება; 5. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 6. ადამიანის სხეული და განვითარება; 7. სექსუალობა და სექსუალური ქცევა; 8. სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები

სექსუალური განათლების ფარგლები დროთა განმავლობაში გაფართოვდა, თუმცა, მუდმივად გრძელდება დისკუსია იმის შესახებ, თუ რას ითვალისწინებს ან უნდა ითვალისწინებდეს სექსუალური განათლება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებით

საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე განათლების აუცილებლობა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აღიარებული.

ქვეყანაში არსებობს ამ თემებზე საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობი გარკვეული საკანონმდებლო გარემო თუ რეგულაციები. ასევე, რამდენიმე სახელმწიფო სტრატეგიისა თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში მთავრობას აღებული აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე განათლების დანერგვის ვალდებულება. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

საერთაშორისო დოკუმენტები:

➤ **ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ.⁵**

საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ. (ძალაში შესვლის თარიღია 01/01/2015). ამ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო იღებს ბავშვთა განათლების ვალდებულებას სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის, ასევე საკუთარი თავის დაცვის საშუალებათა შესახებ, ბავშვთა განვითარების დონის შესაბამისად. ეს საკითხები სექსუალური განათლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 6 – ბავშვთა განათლება

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს დაწყებითი და საშუალო განათლების პერიოდში ბავშვთა მიერ ინფორმაციის მიღება სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის, ასევე საკუთარი თავის დაცვის საშუალებათა შესახებ, მათი განვითარების დონის შესაბამისად. ეს ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება მშობლებთან თანამშრომლობის გზით, წარმოდგენილ უნდა იქნეს ზოგად კონტექსტში და კონცენტრირდეს რისკის ისეთ სიტუაციებზე, რომლებიც, კერძოდ, დაკავშირებულია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2291107?publication=0>

➤ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების⁶ ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და ხელშეწყობის ვალდებულება. კერძოდ:

355 მუხლი

მხარეები თანხმდებიან, რომ განავითარებენ თანამშრომლობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს.

356 მუხლი

თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ კონკრეტულ სფეროებს:

(C და E პუნქტები ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხებს და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეეხება).

C- არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, ძირითადად ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის იმ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა კვება, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მიმართ დამოკიდებულება;

E - ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და ცოდნა.

6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?fbclid=IwAR0WpnxCQXEID9z8_q8_Y5MV44Uk7EH2pdLLMnrMOK8hI_BOMeJWPmj4&publication=0

ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები:

➤ „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030“⁷

2020 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „2020-2030 წლებისათვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“ და დაავალა მთავრობას, 2021 წლის 1 აპრილამდე შეიმუშაოს „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი ღონისძიებები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებები.

ახალგაზრდული პოლიტიკის ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ამ სტრატეგიული მიმართულების მოსალოდნელი შვიდი შედეგიდან ორი რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და უფლებებს და ამ საკითხებზე ახალგაზრდების განათლებას შეეხება. დოკუმენტის მიხედვით, მისაღწევი შედეგები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

მიმართულება N-3 ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

მოსალოდნელი შედეგი 3.2. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების დონე გაზრდილია.

„აღნიშნულ საკითხებზე ახალგაზრდების უკეთ ინფორმირებისთვის საჭიროა მათთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება, ახალ სახელმძღვანელოებში შესაბამისი განახლებული საგნობრივი სტანდარტების სათანადოდ ასახვა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლებისა და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და მათი მხარდაჭერის მობილზება. ასევე საჭიროა პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დონეზე შესაბამის რგოლებში სპეციალური ფუნქციის ინტეგრირება – ახალგაზრდებისთვის მათდამი კეთილგანწყობილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებების მიწოდება და მათი, განსაკუთრებით – ახალგაზრდების თანატოლი განმანათლებლების ამ სერვისების განვითარებაში ჩართვა. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებები მიეწოდებოდეთ საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც ამ სერვისების ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი ფორმით მიწოდებას ითვალისწინებს.“

7. <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/sportisa-da-axalgazrdul-saqmeta-komiteti-1155/saqartvelos-axalgazrdul-politikis-koncepcia-2020-2030-wlebstvis>

მოსალოდნელი შედეგი 3.3. ბავშვთა/ადრეული ქორწინებისა და მობარდთა ორსულობის მაჩვენებლები შემცირებულია.

„მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქორწინო ასაკისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე ახალგაზრდა თაობის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხების (პრინციპების) შესახებ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციით უზრუნველყოფა. აუცილებელია სტიგმის შემცველი მიდგომებისა და პრაქტიკის აღმოფხვრის ხელშეწყობა, აგრეთვე იმ სოციალური ნორმების ცვლილება, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებს.“

➤ საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია⁸

2017 წლის 6 ოქტომბერს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტური ინტერვენციების შენარჩუნება და გაფართოება დედათა და ახალშობილთა გადარჩენის და მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისთვის.

სტრატეგიის სამი მიმართულებიდან ერთერთი ახალგაზრდების სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას შეეხება. ამ მიმართულების რეალიზაციის მიზნით მთავრობამ აიღო ვალდებულება 2030 წლისათვის ახალგაზრდებისთვის სრულად ხელმისაწვდომი გახდეს ასაკის შესაბამისი განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე:

ამოცანა 6:

ახალგაზრდებისათვის სრულად ხელმისაწვდომი იქნება ასაკის შესაბამისი განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე;

სტრატეგიის დოკუმენტს ახლავს განხორციელების გეგმა 2017-2019 წლებისათვის. ამ გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ღონისძიებათა ნუსხაში სქესობრივი განათლების საკითხები არ შესულა. ამ საკითხების შეტანა დაგეგმილია სტრატეგიის განხორციელების მომდევნო ეტაპზე.

8.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3825285https%3A//matsne.gov.ge/ka/document/view/3825285?publication=0>

➤ **“სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე: ეროვნული შეფასების დოკუმენტი”.**

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადდა ეროვნული შეფასების დოკუმენტი “სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე”. დოკუმენტის ერთერთი მიმართულება შეეხება ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსურ განათლებას. ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით სახალხო დამცველის ოფისმა შეიმუშავა შემდეგი სახის რეკომენდაციები: განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- მოხდეს ასაკის შესაბამისი, ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ინკლუზია ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში;
- მოხდეს აღნიშნული ვალდებულების შეტანა განათლების სხვადასხვა საფეხურის სასწავლო გეგმებსა და სტრატეგიებში;
- ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების კომპონენტები მიესადაგოს საერთაშორისო სტანდარტებსა და იუნესკოს სახელმძღვანელო მითითებებს;
- მოსწავლეებისთვის შემუშავდეს ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალები;
- გამოიკვეთოს მუნიციპალიტეტების როლი ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და ადგილზე განხორციელების პროცესში;
- მოხდეს რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები პედაგოგებისა და სკოლების მხარდაჭერა ადამიანის სექსუალობის შესახებ არაფორმალური და ფორმალური სწავლების გაძლიერების მხრივ;
- უზრუნველყოფილ იქნას მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და წახალისდეს მათი სრულყოფილი ინფორმირება;
- შემუშავდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სასწავლო მასალები სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელი პედაგოგებისთვის, თავად პედაგოგები პერმანენტულად გადამზადდნენ.

➤ საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“¹⁰

საქართველოს მთავრობის დადგენილება №84 (2004 წლის 18 ოქტომბერი) წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს იმ უნარებსა და კომპეტენციებს, რასაც უნდა ფლობდეს მოზარდი ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

დოკუმენტის მიხედვით ”განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.“

ზემოაღნიშნული ნორმატიული დოკუმენტი წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტს, რომელსაც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმა და მასზე დაყრდნობით აკონკრეტებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს. ეროვნული სასწავლო გეგმა დეტალურად აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რაც უნდა გამოუმუშავდეს მოსწავლეს სასკოლო განათლების პერიოდში და მისი დასრულებისას.

➤ ეროვნული სასწავლო გეგმა

ს(განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები: №36/6, 2011 წლის 11 მარტი; №40/6, 2016 წლის 18 მაისი)¹¹;

მუხლი 7. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები

2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:

- ა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბ. გარემოს დაცვა;
- გ. ჯანსაღი ცხოვრება;
- დ. სამოქალაქო უსაფრთხოება;
- ე. კონფლიქტების მართვა;
- დ. ფინანსური წიგნიერება;
- ე. კულტურული მრავალფეროვნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/6 - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>

11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=0>

მუხლი 18. სკოლის საერთო კულტურა

1. სკოლამ საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს:

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას - ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურა მოსწავლეს უნდა დაეხმაროს თავიდან აირიდოს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება, გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების არსი (ზომიერება ყველაფერში, გაკაუება, სწორი კვება, ცხოვრების რაციონალური რეჟიმი, რისკების თავიდან აცილება, მავნე ჩვევებზე უარის თქმა და სხვ.) და გაიაზროს მისი მნიშვნელობა.

გემოთ მოყვანილი ჩანაწერი ეროვნულ სასწავლო გეგმაში საფუძველს უყრის ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას არა მხოლოდ კონკრეტული საგნების სწავლა-სწავლებისას, არამედ ავალდებულებს სასკოლო საზოგადოებას, გახადოს ის სასკოლო ცხოვრებისა და გარემოს შემადგენელი ნაწილი. ეს ჩანაწერი იძლევა კარგ საფუძველს კონკრეტული საგნობრივი პროგრამების დამუშავებისთვისაც.

საგნობრივ დონეზე ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ საუბარია შემდეგ მიმართულებებში:

თავი IX. სავალდებულო და არჩევითი საგნები

მუხლი 49. საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატიოთ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

მუხლი 50. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს შეიცნოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

მუხლი 53. სპორტი

2. სპორტის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, მოსწავლემ გაააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

საქართველოს კანონმდებლობა:

➤ ბავშვის უფლებათა კოდექსი¹².

საქართველოს პარლამენტმა ბავშვთა უფლებათა კოდექსი მიიღო 20/09/2019 წელს. კოდექსის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობის გზით.

ბავშვთა უფლებათა კოდექსი ქმნის სექსუალური განათლებისათვის ხელშემწყობ საკანონმდებლო გარემოს. ამ კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით „ბავშვის უფლებათა, მიიღოს ინფორმაცია თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, სხვა თემების შესახებ, რაც სასარგებლოა მისი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, ფსიქო-სოციალური და კულტურული განვითარებისა და კეთილდღეობისათვის.“

თავი II

ბავშვის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 15. ბავშვის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება

1. ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სხვა თემების შესახებ ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა მისი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, ფსიქო-სოციალური და კულტურული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

12. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1>

2.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვისთვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდება.

3.სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვისთვის მასობრივი ინფორმაციის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და საგანმანათლებლო-შემეცნებითი მასალების ხელმისაწვდომობას, რომლებიც მის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას ეხება.

4.მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ ბავშვის კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა უფლებების სათანადოდ გაშუქების მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ისეთი ინფორმაციისა და მასალების გავრცელებაში, რომლებიც შეიცავს ბავშვის კულტურული და სოციალური განვითარებისთვის სასარგებლო ინფორმაციას, ბავშვის განათლების მიზნების შესაბამისად, ბავშვთა სხვადასხვა ენობრივი საჭიროების გათვალისწინებით;

ბ) საერთაშორისო თანამშრომლობას ბავშვის განვითარებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მრავალფეროვანი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან გაცვლის, გავრცელებისა და მომზადების სფეროში;

გ) საბავშვო ლიტერატურის განვითარებასა და გავრცელებას;

დ) ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისა და მასალებისგან ბავშვის დაცვის სახელმძღვანელო წესების შემუშავებასა და გავრცელებას.

5.სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებისა და მათი დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის პასუხისმგებელი უწყებების მეშვეობით, ბავშვისთვის გასაგები ენით და მისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელებას.

ამ კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით „ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით. სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას, რათა არცერთ ბავშვს, არ შეეზღუდოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“.

მუხლი 41. ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლება

1. ყოველ ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების (მათ შორის, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, სტაციონარული მომსახურების, რეაბილიტაციის) გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობით.

2. სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას, რათა არცერთ ბავშვს, მათ შორის, არცერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ან/და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვს, არ შეეზღუდოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ზომების მიღებას:

ბ) პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების განსავითარებლად;

➤ **საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;**

(საქართველოს მთავრობამ კანონის განახლებული ვერსია დაამტკიცა 15,07,2020); საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს.¹³

ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

13. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=87>

ცხოვრების ჯანსაღ წესსზე, როგორც განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიზანზე, საუბარია კანონის მე-3 მუხლის ბ პუნქტში:

მუხლი 3. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები

1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

საქსნაგლო განათლების საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში

ზოგადი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში ეროვნულ სასწავლო გეგმას ერთერთი წამყვანი ადგილი უკავია. ეროვნული სასწავლო გეგმა არის ე.წ. „მოსწავლის სტანდარტი“, რომელიც განსაზღვრავს, რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ ცოდნის, უნარების და ღირებულებების თვალსაზრისით კონკრეტულ დისციპლინაში და კონკრეტულ პერიოდში. ეროვნულ სასწავლო გეგმას ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და, ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, იგი არის: „ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების საფეხურისთვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას“.

ეროვნული სასწავლო გეგმა პირველად საქართველოში შემუშავდა 2005 წელს. 2011 წლიდან დაიწყო მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. უკვე გადამუშავებული და დამტკიცებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანყებითი და საბაზო საფეხურები (I-VI და VII-IX კლასები), რომლების დანერგვა 2018 სასწავლო წლიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. ამჟამად მუშაობა გრძელდება საშუალო საფეხურის (X-XII კლასები) სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე და მათი დანერგვა სკოლებში დაგეგმილია 2024 წლამდე.

საქართველოს განათლების სისტემა შედგება სამი საფეხურისგან:

1. დაწყებითი საფეხური - I-VI;
2. საბაზო საფეხური - VII-IX;
3. საშუალო საფეხური - X-XII

საგნობრივი სტანდარტებიც ამ საფეხურების მიხედვით მუშავდება. საგანმანათლებლო სისტემაში ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც უნდა დაშენდეს განათლების სისტემის სხვადასხვა კომპონენტი.

ესგ-ს საფუძველზე უნდა მომზადდეს:

- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- ჩატარდეს მასწავლებლების მომზადებისა და გადამზადების, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი აქტივობები;
- მომზადდეს სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელოები, გამკვლევები, ელექტრონული რესურსი, თვალსაჩინო მასალა და ა.შ.);
- შემუშავდეს სამეცნიერო ლაბორატორიების სტანდარტები;
- შემუშავდეს სასკოლო ინფრასტრუქტურის სტანდარტები (სასკოლო სივრცის ფუნქციური დაგეგმარება, ლაბორატორიების ტექნიკური დაგეგმარება, ბიბლიოთეკის სტანდარტი და სხვა);

ჯანსაღი ცხოვრების წესის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხები ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გადანაწილებულია დაწყებით და საბაზო საფეხურზე (საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტებზე მუშაობა არ დასრულებულა). ზოგიერთ საგანში ის მიზნებშია ასახული, ხოლო ზოგიერთში კი - მოსწავლის მისაღწევ შედეგებში.

ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხები გადანაწილდა ექვს საგანში. ესენია: 1. „ბუნებისმეტყველება“ (I-IV კლასები); 2. „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები), 3. „ჩემი საქართველო“ (V-VI კლასები); 4. „ბიოლოგია“ (VII-IX კლასები); 5. „მოქალაქე“ (VII-IX კლასები); 6. „ფიზიური აქტივობა და სპორტი“ (I-VI კლასები).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, როგორ არის სრჯუ და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხები განაწილებული საგნობრივ სტანდარტებში, საგნების და კლასების მიხედვით:

დაწყებითი საფეხური	I-IV კლ.	III- IV კლ.	V-VI კლ.
„ბუნებისმეტყველება“	პირადი ჰიგიენის ნივთების დასახელება და ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე მსჯელობა (მაგ. სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი),		ჯანმრთელობაზე მოქმედი სხვადასხვა მავნე ფაქტორის შესახებ მსჯელობა.
„მე და საზოგადოება“		ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).	
„ჩემი საქართველო“			ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები)
„ფიზიკური აღზრდა და სპორტი“	პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ელემენტარული წესების დაცვა.		ჯანმრთელობის, როგორც საზოგადოებაში წარმატებული არსებობის ერთ-ერთი საწინდარის, განსაზღვრა. (თამბაქოს, ალკოჰოლოს და ნარკოტიკის მავნე ზემოქმედება ორგანიზმზე

საბაზო საფეხური	VII-IX კლ.
„ბიოლოგია“	ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა. საკითხები: • ადამიანის სასიცოცხლო ციკლი (გარდატეხის ასაკი) • ჯანმრთელობა და გარემო • ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოქმედება • ქალის რეპროდუქციული სისტემა • მამაკაცის რეპროდუქციული სისტემა • განაყოფიერება და ნაყოფის განვითარება • სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები • ჯანსაღი კვება და დაბალანსებული დიეტა • ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება, მავნე ჩვევები • ფიზიკური აქტივობა და მისი მნიშვნელობა ჯანმრთელობის შენარჩუნებაში • ნაადრევ ქორწინებასთან/ორსულობასთან დაკავშირებული რისკები
„მოქალაქე“	საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეფლექსია); საკითხები: • ჯანსაღი კვება; • გარდატეხის ასაკი; • ადრეულ ასაკში ქორწინება; • ადიქცია. • თანასწორობა სკოლაში • ძალადობა/ბულინგი
„ფიზიკური აღზრდა და სპორტი“	ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება, როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სოციალიზაციის ხელშემწყობი საშუალება.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაში ყურადღება ეთმობა მოზარდებისთვის ცოდნისა და უნარების განვითარებას ჯანსაღი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კუთხით ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: გარდატეხის ასაკი, რეპროდუქციული სისტემა, სასქესო ანატომია, მავნე ჩვევები და მათი გავლენა ჯანმრთელობაზე, ნაადრევი ქორწინება და სხვა. მოცემული კომპეტენციები ხელს უწყობს პიროვნების სოციალურ განვითარებას, მისი, როგორც ტოლერანტული, ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ღირებულებების ჩამოყალიბებას.

საქართველოში მოსახლეობის დამოკიდებულება სექსუალური განათლების მიმართ არასდროს ყოფილა კვლევის საგანი.

ამ თავში მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ კვლევებს, რომლებიც შინაარსობრივად ახლოს არის სექსუალური განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევასთან.

1. ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში - საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი; UNICEF, თბილისი, 2014.

„ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“ ჩატარდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ 2013 წლის ივლისში, UNICEF-თან, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) მჭიდრო თანამშრომლობით. კვლევის მიზანი იყო საქართველოში ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირებისა და ცოდნასა და მტკიცებულებებზე დამყარებული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა.

კვლევამ გამოავლინა:

- საქართველოში ახალგაზრდებს აქვთ შეზღუდული ცოდნა მოსახლეობის უფლებებსა და მოვალეობებზე და სამოქალაქო ვალდებულებებზე.
- საქართველოში ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი დიდი უმრავლესობა (90.4%) მიიჩნევს, რომ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.
- ახალგაზრდებს შორის ალკოჰოლის, ნარკოტიკის და სხვა ნივთიერებების ბოროტად გამოყენებაში მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობაა.
- ახალგაზრდების უმეტესობას არ გამოუყენებია კონტრაცეფციის საშუალებები და რეგისტრირებული აბორტების დაახლოებით ნახევარი მოდის 15-29 წლის ქალებზე.
- ახალგაზრდების 43,3% შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ სტიგმას სოციალურ ნორმად აღიქვამს.

საქართველოს ახალგაზრდებს ყველაზე მნიშვნელოვნად მომავალში მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სამუშაო ადგილების გაზრდა მიაჩნიათ. ამასთან ერთად, ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ახალგაზრდები ასახელებენ ჯანდაცვის გაუმჯობესებას, ხელმისაწვდომ და სრულფასოვან საკვებს, ხარისხიან განათლებას და კეთილსინდისიერ, პასუხისმგებლობის მქონე მთავრობას.

2. წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე - „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG), თბილისი, 2016

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ლგბტ ადამიანების მიმართ არსებული განწყობების სიღრმისეული შესწავლა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ზოგადი შეფასება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა რეკომენდაციებისა და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ჰომო/ბი/ტრანსფობიის დასაძლევად ქვეყანაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობია კომპლექსური პრობლემაა და მისი დაძლევა, პირველ რიგში, სხვადასხვა აქტორების (ხელისუფლება, სხვადასხვა პროფესიული ჯგუფები, მედია და სამოქალაქო სექტორი) ერთიან ძალისხმევასა და კოორდინირებულ მუშაობას საჭიროებს.

3. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში - ა(ა)იპ "სოციალური ცვლილების მხარდამჭერები", თბილისი, 2018

პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოში ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მრავალკომპონენტურ ანალიტიკურ მიმოხილვას. მასში ხაზგასმულია, რომ ქვეყანაში გასაძლიერებელია მუშაობა იმისთვის, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან ერთად მოხდეს სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების აღიარებაც. ამ მიზნის მისაღწევად კი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სექსუალობის საკითხი აღარ იქნას განდევნილი და იგნორირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსიდან, რაც თანამედროვე საქართველოში დიდწილად სექსუალობის ცალსახად სექსუალური ორიენტაციის ჩარჩოში ჩაკეტვით არის გამოწვეული.

შესაბამისად, საჭიროა მოხდეს სექსუალობის მიმართ კომპლექსური ხედვისა და პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირების ხელშეწყობა, პირველ რიგში, სწორედ საზოგადოებრივი დისკურსის დონეზე.

4. მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა - ჰერა XXI, თბილისი, 2018 წელი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრები მშობლების დამოკიდებულებების შესწავლა რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობასა და უფლებებზე შვილების ინფორმირების კუთხით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობლები, იმის მიუხედავად, თავად უსაუბრიათ ამ საკითხზე შვილებთან თუ არა, საჭიროდ თვლიან შვილების ინფორმირებას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. მშობლები ე.წ. „გარდატეხის ასაკს“ (10-12 და 13-15 წლები) მიიჩნევენ ყველაზე ოპტიმალურ პერიოდად შვილებთან სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ საუბრის დასაწყებად.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის წყაროებიდან მშობლებს შორის ყველაზე მაღალი სანდოობით სარგებლობს ოჯახი და სკოლა.

5. კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება - UNFPA, თბილისი 2020

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადებული კვლევის ანგარიში ნათელს ჰფენს საქართველოში ამჟამად არსებულ გენდერულ ურთიერთობებს და სამომავლო ტენდენციებზეც მიაჩინებს. ანგარიში ეფუძნება საერთაშორისო კვლევის „კაცები და გენდერული ურთიერთობების“ მეთოდოლოგიას და მასში განხილულია რესპონდენტების მხრიდან აღქმისა და ქცევების ცვლილების დინამიკა 2013 წლის შემდეგ.

კვლევამ გამოავლინა:

- გენდერული ნორმები კვლავაც ახდენს გავლენას ოჯახური ვალდებულებების განაწილებაზე და ქალებს სხვა შესაძლებლობების გამოყენებაში უშლის ხელს.
- ბავშვზე ზრუნვა, ძირითადად, კვლავაც ქალის პასუხისმგებლობად განიხილება.
- ქართულ საზოგადოებაში კვლავაც შენარჩუნებულია არასამართლიანი დამოკიდებულებები ქალთა ლიდერობის, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში როლისა და დასაქმების მიმართ.
- საჭიროა ცნობიერების ამაღლება დეკრეტული შვებულების პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონების მიმართულებით.

საქართველოში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია გენდერული თვალსაზრისით უსამართლო დამოკიდებულებები და ქცევები, თუმცა, ეს ყველაფერი გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ მზარდი ინტერესისა და, ამ მიმართულებით, ცვლილების სურვილის პარალელურად ხდება.

შეჯამება

საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება სექსუალური განათლების დანერგვა ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში. არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით განათლების სამინისტროსთან ერთად განხორციელებული პროექტების მიუხედავად, დღემდე გრძელდება მწვავე დისკუსია სქესობრივი განათლების საჭიროების და შესაძლო უარყოფითი შედეგის შესახებ.

საზოგადოებაში დღემდე არსებობს სექსუალური განათლების შესახებ უამრავი მითი თუ დამახინჯებული წარმოდგენა. არაინფორმირებულობა, ცოდნის ნაკლებობა, რელიგიური თუ სხვა, ამ საკითხის მოწინააღმდეგე ორგანიზაციების აქტიურობა ხელს უწყობს საზოგადოებაში სქესობრივი განათლების შესახებ უარყოფითი განწყობის შექმნას.

თანადგომა

საინფორმაციო სამედიცინო-
ფსიქოლოგიური ცენტრი



TANADGOMA

CENTER FOR INFORMATION AND COUNSELING
ON REPRODUCTIVE HEALTH